



მდგრადი მშვიდობის ძიებაში:
სამხრეთ კავკასიაში მშვიდობის
მშენებლობის თემატური კვლევა

თებერვალი 2020



A Network of People
Building Peace

ამ ნაშრომის შესახებ

აღნიშნული ნაშრომი წარმოადგენს GPPAC სამხრეთ კავკასიის რეგიონალური შეხვედრის¹ ძირითად მიგნებებს, სადაც აქცენტი გაკეთებულია ადგილობრივ მშვიდობის ხელშეწყობაზე წარმოდგენებსა და მოსაზრებებზე თუ რა გზებით უნდა ავაშენოთ ძლიერი და ქმედითი პარტნიორული ურთიერთობები სამხრეთ კავკასიაში.

ნაშრომი მომზადებულია კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო ცენტრის მიერ (ICCN).²



¹ რეგიონალური შეხვედრა შედგა დუბაიში (არაბეთის გაერთიანებული ემირატები) 2019 წ. 25-26 ნოემბერს. მას ესწრებოდნენ GPPAC-სამხრეთ კავკასიის წევრები - ICCN, ჰელსინკის მოქალაქეთა ასამბლეის სომხეთის ეროვნული კომიტეტი, ჰელსინკის მოქალაქეთა ასამბლეის აზერბაიჯანის ეროვნული კომიტეტი, ქალთა საინფორმაციო ცენტრი, გაერთიანება ARSMIRA, იძულებით გადაადგილებულ ქალთა ასოციაცია „თანხმობა“, ქალთა პრობლემების კვლევის კავშირი, ჰელსინკის ინიციატივა-92 და ქუთაისის საინფორმაციო ცენტრი.

² სამხრეთ-კავკასიური ქსელური პარტნიორობის მეშვეობით, რიმელიც მოიცავს სომხეთს, აზერბაიჯანსა და საქართველოს, ICCN ემსახურება და ხელს უწყობს მშვიდობას საქართველოსა და სამხრეთ კავკასიაში ისევე როგორც სამ განდგომილ რეგიონში - აფხაზეთი, სამხრეთ ოსეთი და მთიანი ყარაბაღი. 2004 წლიდან ICCN წარმოადგენს შეირადებული კონფლიქტების პრევენციის გლობალური პარტნიორობის (GPPAC) სამხრეთ კავკასიის რეგიონალურ სამდივნოს.

შესავალი:

რეგიონული ჩართულობისა და კონტექსტის მიმოხილვა

გაჭიანურებული და გაყინული კონფლიქტები სამხრეთ კავკასიაში კვლავაც ელოდებიან მათ სამართლიან მოგვარებას. კონფლიქტში მონაწილე მხარეებს შორის ცეცხლის შეწყვეტის ნებისმიერი დარღვევა მთელს სამხრეთ კავკასიაში დესტაბილიზაციას შეუწყობდა ხელს. შინაარსიან პარტნიორობას საერთაშორისო და რეგიონული მრავალმხრივი პარტნიორებით, შეუძლია შეუძლია ხელი შეუწყოს რეგიონალური, ეროვნული და ადგილობრივი შესაძლებლობების განვითარებას მშვიდობიანი დიალოგის მისაღებად მთიანი ყარაბაღის, აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთის სიტუაციებთან და ასევე საქართველოსა და რუსეთს შორის კონფლიქტის საკითხებში. მრავალმხრივი პარტნიორების არსებული სამშვიდობო მცდელობების მოკლე მიმოხილვაც კი ცხადყოფს კორელაციას მრავალმხრივი პარტნიორების გავლენის შემცირებასა და რეგიონში მშვიდობის შენარჩუნების შეზღუდულ მანდატებსა და შესაძლებლობებს შორის.

საქართველო-რუსეთის კონფლიქტი

საქართველოსა და რუსეთს შორის მშვიდობის დამყარების რამდენიმე ინიციატივის შემუშავების მიუხედავად, ყველა მათგანი ან ჩაიკარგა ან დიდწილად არაეფექტური აღმოჩნდა. შექმნიდან 1993 წელს მოყოლებული, გაერთიანებული ერების სადამკვირვებლო მისია საქართველოში (UNOMIG) ასრულებდა პრევენციულ ფუნქციას ყველა მხარისათვის, და მოიცავდა მხარეთა საჩივრების ვერიფიკაციას, რომელიც ეხებოდა საქართველოს მთავრობასა და აფხაზეთის ხელისუფალთ შორის ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების დაცვას.³ რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის შემდეგ UNOMIG-მ დატოვა საქართველო 2009 წელს, რადგანაც რუსეთმა პოლიტიკური ლანდშაფტის ცვლილების მოშველიებით, ვეტო დაადო მისიის მანდატის გაგრძელებას გაერთიანებული ერების უშიშროების საბჭოს მიერ. ევროპაში უშიშროების და თანამშრომლობის ორგანიზაციის (ეუთო) მისია საქართველოში, რომელიც 1992 წელს გაიხსნა ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში კონფლიქტში მონაწილე მხარეებს შორის მოლაპარაკებების ხელშეწყობად, ასევე დაიხურა 2008 წლის დეკემბერში მისი მანდატის ამოწურვის შემდეგ.⁴ შესაბამისად, საქართველოს მოაკლდა მშვიდობის დამყარებისა და კონფლიქტის პრევენციის ორი ყველაზე მნიშვნელოვანი აქტორი და პლატფორმა - UNOMIG და ეუთოს მისია, რომლებიც უზრუნველყოფდნენ ესოდენ საჭირო საერთაშორისო ყოფნას, კონფლიქტის მონიტორინგს, შეტყობინებას და მედიაციას.

ამჟამად, ევროკავშირის მონიტორინგის მისია (EUMM) და მისი შემდგომი ფორმატები - ინციდენტების პრევენციისა და რეაგირების მექანიზმი, (IPRM) EUMM და ეუთოს ხელშეწყობით ერგნეთში და გაეროს თავმჯდომარეობით გალში, ქმნიან ერთადერთ და არსებით მოქმედ პლატფორმებს ადგილზე უსაფრთხოების გასამყარებლად და

³ იხილეთ UNOMIG-ს მისიის გვერდი შენახული საჯარო ინფორმაციის დეპარტამენტის მშვიდობისა და უსაფრთხოების სექციის მიერ: <https://peacekeeping.un.org/mission/past/unomig/index.html>

⁴ იხილეთ საქართველოში ეუთოს OSCE-ს მისიის გვერდი: <https://www.osce.org/georgia-closed>

კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებების მოსაგვარებლად ჰუმანიტარული და ადამიანის უსაფრთხოების პერსპექტივიდან გამომდინარე, ევროკავშირის მონიტორინგის მისია არის ერთადერთი მისია, რომელიც აწარმოებს მონიტორინგსა და შეტყობინებას შესაბამის პროცესებზე, ხოლო IPRM არის პლატფორმა იმისათვის, რომ მოხდეს პოტენციური რისკების იდენტიფიცირება, ინციდენტებზე თვალყურის მიდევნება და იქ მცხოვრები თემების პრობლემებზე ინფორმაციის ყოველდღიური ურთიერთგაცვლა. თუმცა, იმის გამო რომ EUMM მანდატი შეზღუდულია მონიტორინგითა და მიგნებების შეტყობინებით მხოლოდ კონფლიქტის იმ ზონებით, რომლებზედაც მათ აქვთ წვდომა, მათ ფაქტიურად აკრძალული აქვთ სამუშაოს წარმოება აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში. შესაბამისად, EUMM-ს მხოლოდ ნაწილობრივ შეუძლია გაუმკლავდეს კონფლიქტის ზონაში არსებულ პრობლემებს. აქედან გამომდინარე, ოსური შეიარაღებული ფორმირებებისა და რუს მესაზღვრეების მიერ ქართველ მოსახლეთა გატაცებები ადმინისტრაციული სასაზღვრო ხაზის გასწვრივ გრძელდება, ისევე როგორც რუსი სამხედროების მიერ თვითგამოცხადებული სახელმწიფო სამხრეთ ოსეთის ე.წ. „სახელმწიფო საზღვრის“ შემოწვევა საქართველოს მიერ კონტროლირებადი ტერიტორიის შიგნით. მსგავსი მაგალითები ქმნიან კონფლიქტის რეციდივის რისკს მათი გაგრძელების შემთხვევაში.

ჟენევის საერთაშორისო დისკუსიების სახელით ცნობილი მოლაპარაკების ფორმატი, რომელთა თანათავმჯდომარეები არიან ევროკავშირი, გაერო და ეუთო, 2009 წელს შეიქმნა და რჩება ერთადერთ საერთაშორისო პლატფორმად, სადაც ცალკეული დაინტერესებულ მხარეებს შეუძლიათ მონაწილეობა კონფლიქტის მოგვარების გზების საძიებლად.⁵ ჟენევის ფორმატი ფოკუსირებულია უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ საკითხებსა და კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობის ჰუმანიტარულ საჭიროებებზე და შედარებით ნაკლებად მშვიდობის დამყარებაზე. მიუხედავად ამისა, ჟენევის ფორმატის ფარგლებში ბოლოდროინდელ დადებით პროცესებს შორის არის 2018 წელს მისი აღმატებულება აიშე ჯიჰან სულთან-ოღლუს დანიშვნა გაეროს წარმომადგენლად ამ მოლაპარაკებებზე. ქ-ნი სულთან-ოღლუს ცდილობს ადგილობრივი ქალი მშვიდობისმყოფელების რეგულარულ ჩართვას დიალოგში ქალების ღირებული და კონსტრუქციული მონაწილეობის გასაძლიერებლად 2019 წლის 13-15 ნოემბერს ვენაში ეუთოს ვორქშოფზე „სამხრეთ კავკასიაში მშვიდობის დამყარებაში ინკლუზიური მიდგომების ხელშეწყობა“ ქ-ნმა სულთანოღლუმ შემოგვთავაზა სამშვიდობო პრაქტიკით დაკავებულ ქალთა საკონსულტაციო ჯგუფის შექმნა, როგორც ჩართულობის ერთ-ერთი მაგალითი. 11 წლის მანძილზე ჟენევის ფორმატმა ვერ აჩვენა ხელშესახები პროგრესი, რომლითაც წარმომავა ლეგიტიმური კითხვები არსებული ფორმატის მიზანშეწონილობისა და ქმედითობის შესახებ. ჟენევის ფორმატის წინაშე არსებული ერთ-ერთი მთავარი პრობლემა არის ის, რომ რუსეთის მთავრობა უარს აცხადებს აღიაროს რომ ის კონფლიქტის მონაწილეა და ამის სანაცვლოდ ცდილობს თავი მედიატორად შესაბამისად, ჟენევის ფორმატი ჩიხშია შესული და იწვევს საფუძვლიან წუხილს და ჩივილებს კონფლიქტით დაზარალებულ თემებში. კიდევ ერთი მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს ჟენევის ფორმატში ადგილობრივი მშვიდობისმყოფელთა ჩართულობის ნაკლებობა. მიუხედავად იმისა, რომ ჟენევის ფორმატი შეკრებილია როგორც „არაფორმალური სამოქმედო არენა“ სადაც მონაწილეები წარმოდგენილი არიან მათ პიროვნულ დონეზე რაიმე ოფიციალური დანიშნულების გარეშე, ეს ფორმატი მაინც

⁵ იხილეთ (2019 წლის 9 ოქტომბერი) ჟენევის საერთაშორისო დისკუსიების თანათავმჯდომარეების პრეს-კომუნკე, მოლაპარაკებების 49-ე რაუნდის შემდეგ: <https://www.osce.org/chairmanship/435188>

დისტანცირებულია ფართო საზოგადოებისგან. ჟენევის ფორმატი დიდწილად განიხილება როგორც ერთგვარი „დახურული“ და „ელიტარული“ პლატფორმა, რადგანაც არავითარი ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი მისი შეხვედრების დღის წესრიგზე და არ არსებობს ადგილობრივი მშვიდობისმყოფელებისგან და ფართო საზოგადოების აქტორებისგან რეკომენდაციების მიწოდების შესაძლებლობა.

მთიანი ყარაბაღის კონფლიქტი

რეგიონული ორგანიზაციების მნიშვნელოვანი ჩართულობის არარსებობის პირობებში, დიალოგის არსებულმა პლატფორმებმა მცირე ხელშესახები წარმატება აჩვენეს მშვიდობაზე მოლაპარაკებებში. მინსკის ჯგუფი წარმოადგენს მთავარ მოლაპარაკებით ფორუმს მთიანი ყარაბაღის ირგვლივ კონფლიქტზე სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის, რომელიც მუშაობს ოფიციალური სამთავრობო დიპლომატიის (Track 1) დონეზე.⁶ თუმცა, დისკუსიებზე ადგილობრივი მშვიდობისმყოფელებისა და აქტივისტების არყოფნის, სამშვიდობო ექსპერტიზის არარსებობის და საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან ოპერაციული მხარდაჭერის გარეშე, მინსკის ჯგუფს აკლია ის მნიშვნელოვანი კომპონენტები, რასაც მას უფრო ინკლუზიური საექსპერტო დონეზე წარმოებული დიალოგი შესთავაზებდა შემუშავებულ ვარიანტებთან და ერთობლივად შეთანხმებულ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით. შედეგად, მთიან ყარაბაღთან დაკავშირებული სიტუაცია სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის, რჩება დამაბული და პერიოდულად ხდება ძალის გამოყენების ესკალაცია კონფლიქტის ორივე მხარიდან; თითქმის ყოველდღე მოდის ამბები სარაკეტო დაბომბვებისა და დახოცილი სამხედროების შესახებ.⁷

დიალოგის მძლავრი ფორუმის არარსებობის გარდა, პოლიტიკური პროცესების დინამიკას ასევე გააჩნია მნიშვნელოვანი ზეგავლენა კონფლიქტის ტრაექტორიებზე. ჯერ ერთი, შიდაპოლიტიკური სიტუაცია ორივე ქვეყანაში არ განაწყობს კომპრომისების ძიებისკენ ძირითადი საწყისი პრობლემის მოსაგვარებლად. სახელმწიფოების ფარგლებში ადამიანებს შორის მზარდ გათიშულობას მივყავართ ძალადობის ხელშემწყობ გარემოსკენ. რაც უფრო მნიშვნელოვანია, კონფლიქტის მიმდინარე მილიტარიზაცია ზღუდავს მშვიდობის მიღწევის შესაძლებლობებს.⁸ ორივე მხარის იარაღით მომარაგებითა და სომხეთში სამხედრო ბაზის შენარჩუნებით, რუსეთის მთავრობა აჭიანურებს კონფლიქტის მშვიდობიან მოგვარებას. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთი ოფიციალურად კონფლიქტის მოგვარების მედიატორია მინსკის ჯგუფში, ის არ აძლევს საშუალებას სხვა წევრებს და თანათავმჯდომარეებს –საფრანგეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს, გამოვიდნენ რაიმე მნიშვნელოვანი და მდგრადი გეგმებით კონფლიქტის თუნდაც ნაწილობრივ მოსაგვარებლად.

მეტიც ის იყენებს სხვადასხვა პოლიტიკურ და დიპლომატიურ ბერკეტებს იმისათვის რომ დაბლოკოს მინსკის ჯგუფში ახალი წევრების შემოსვლა, როგორც არის გერმანია. ასეთი დახურული და დამაბული პოლიტიკური გარემო ადგილობრივ მოსახლეობის უსაფრთხოებათან დაკავშირებულ შემფოთებებზე უფრო პრიორიტეტულს ხდის ეროვნულ და რეგიონულ უსაფრთხოებას და ნეგატიურ გავლენას ახდენს სამოქალაქო სივრცეზე, მოქმედებს ნდობის აღდგენის ღონისძიებებზე და აყალიბებს შესაბამის

⁶ იხ. ეუთოს მინსკის ჯგუფის მანდატი და ძირითადი რესურსები: <https://www.osce.org/mg>

⁷ იხ. (თებერვალი 2020) ახალი ამბები სომხეთსა და აზერბაიჯანში : <https://armenpress.am/eng/news/1003331.html>; <https://www.azernews.az/aggression/161436.html>

⁸ იხ. (2019) Jamestown Foundation-ს სტატია სათაურით, “Russia’s Arms Sales: A Foreign Policy Tool in Relations With Azerbaijan and Armenia”: <https://jamestown.org/program/russias-arms-sales-foreign-policy-tool-relations-azerbaijan-armenia/>

რიტორიკას პოლიტიკასა და გადაწყვეტილებებზე. და ბოლოს, ადგილობრივი მშვიდობისმყოფელების მხოლოდ პერიოდული მონაწილეობა ცალკეულ ღონისძიებებში ვერ ახდენს რაიმე მნიშვნელოვან გავლენას პროცესზე და ვერ აქცევს ადგილობრივ პასუხისმგებლობას მშვიდობის მშენებლობის საფუძვლად.

არასტაბილურობისა და გარიყულობის ასეთი კლიმატი ჩრდილავს რეგიონს. სამხრეთ კავკასიაში არსებული კონფლიქტები აღინიშნა გაეროს გენერალური მდივნის ანტონიო გუტერეშის მიერ განსახილველ შეშფოთების გამომწვევ საკითხთა 12 სფეროში, გენერალური ასამბლეის არაფორმალურ შეხვედრაზე 2018 წლის 16 იანვარს. მან თქვა, რომ "ამ სიტუაციების მოგვარება მოითხოვს ნაციონალიზმის საშიში ტალღის უკუგდებას და შესაბამისი მედიაციის ინიციატივების გაცოცხლებას". თუმცა, ასეთი ამბიციური სარეკონდაციო განცხადებები არ გადაიზარდა რაიმე მნიშვნელოვან ქმედებებში პოლიტიკური დინამიკის, უსაფრთხოებისადმი ტრადიციული მიდგომებისა და შინაარსობრივი ინკლუზიის არარსებობის გამო. ამან აიძულა ადგილობრივი მშვიდობისმყოფელები დაეჯერებინათ, რომ რეგიონმა საერთაშორისო სამშვიდობო დღის წესრიგის "უკანა ეზოებში" გადაინაცვლა, და რომ მას არ გააჩნია თვალსაჩინოება და მისთვის საჭირო რეგიონალური და საერთაშორისო მრავალმხრივი პარტნიორების ყურადღება, რეგიონში მდგრადი მშვიდობის შენარჩუნების სულისკვეთებისთვის მხარდასაჭერად.

რეკომენდაციები:

- გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ უნდა განახორციელოს ინვესტიცია კონფლიქტის ადეკვატურ ანალიზში, რომელიც დაეყრდნობა ადგილობრივ გამოცდილებასა და ადგილზე შეგროვებული მონაცემებზე ინფორმაციას;
- გაეროს პოლიტიკურ და სამშვიდობო საქმეთა დეპარტამენტის რეგიონულმა ოფისებმა უნდა აწარმოონ რეგიონში შესაბამისი სამშვიდობო აქტორების რუკების შედგენა და ხელი შეუწყონ შესაძლებლობების განვითარებას მათთვის, ვისაც ყველაზე უკეთესად შეუძლია მოახდინოს რეაგირება არასტაბილურობის ძირეულ მიზეზებსა და ადრეულ გამოვლინებებზე;
- გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ მხარი უნდა დაუჭიროს შესაბამის აქტორებს ინკლუზიური და ღია დიალოგის ახალი და მოქნილი პლატფორმების შექმნაში, სადაც მშვიდობის შენარჩუნებით დაინტერესებულ შესაბამის მხარეებს შეეძლებათ ერთად იმუშაონ ინკლუზიური გადაწყვეტილებების შემუშავებაში;
- რეგიონში მყოფმა მრავალმხრივმა პარტნიორებმა უნდა მოახდინონ თავიანთი ურთიერთობების სისტემატიზაცია და ინსტიტუციონალიზაცია ადგილობრივ მშვიდობის მშენებლებთან, როგორცაა სამხრეთ კავკასიის ქალ მედიატორთა ქსელი (NWMSC).

გაერთიანებული ერების მოღვაწეობა: რა განხორციელდა?

ადგილობრივმა მშვიდობის მშენებლებმა, მათ შორის ქალთა და ახალგაზრდულმა ჯგუფებმა ხაზი გაუსვეს შემდეგ ინიციატივებს, რომლებიც გაერომ წამოაყენა ბოლო წლებში სამხრეთ კავკასიაში მშვიდობის მშენებლობის პროცესის განმტკიცების მიზნით:

UNDP-DPPA ერთობლივი პროგრამა კონფლიქტების პრევენციის ეროვნული შესაძლებლობების განვითარების შესახებ მხარს უჭერს მშვიდობისა და განვითარების სამ ეროვნულ მრჩეველთა გუნდს სომხეთში, აზერბაიჯანსა და საქართველოში, ასევე რეგიონალურ მრჩეველს მშვიდობისა და განვითარების საკითხებში. გუნდი მხარს უჭერს სამხრეთ კავკასიაში სამ ქვეყნის გაეროს გუნდს (UNCT) პოლიტიკური ანალიზის, კონფლიქტებთან დაკავშირებული კრიზისისა და მშვიდობის მშენებლობის პროგრამირების მხარდაჭერის თვალსაზრისით.⁹

სამშვიდობო პროგრამირების კუთხით, გუნდი კონკრეტულად მუშაობდა რეგიონული სამშვიდობო ინიციატივების საწყისი პუნქტების იდენტიფიცირებაზე ქვე-რეგიონულ სამშვიდობო ინიციატივებისათვის, ადგილობრივი მშვიდობისმყოფელების და სამოქალაქო საზოგადოების ქსელების დიალოგში ჩართვაზე სამხრეთ კავკასიის რეგიონში ქვე-რეგიონულ გამოწვევებსა და პრიორიტეტებზე და მხარდაჭერის მოპოვებაზე წამყვან საერთაშორისო პარტნიორებსა და დონორებს შორის ახალ სამშვიდობო და განვითარების ინიციატივებისთვის. ადგილობრივი მშვიდობისმყოფელთა პერსპექტივიდან გამომდინარე, ამ ინიციატივების ფარგლებში განხორციელებულმა პროექტებმა ხელი შეუწყო ნდობის აღდგენასა და საზოგადოების ჩართულობას. თუმცა, ამ ინიციატივების ზეგავლენა უკეთესობის სურვილს ტოვებს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე ეხება მშვიდობისა და განვითარების მრჩეველთა როლს კონფლიქტების ანალიზის, შესაძლებლობების განვითარების და ცოდნის განვითარების მხარდაჭერის საქმეში.

კარგი პრაქტიკის კიდევ ერთი მაგალითია ნდობის აღდგენის ადრეული რეაგირების მექანიზმი (COBERM), რომელიც შეიქმნა 2010 წლის მაისში 90 – იან წლებში ქართულ – აფხაზური და ქართულ – ოსური საბრძოლო მოქმედებების შედეგად წარმოქმნილი პრობლემების გადასაჭრელად. 2010–2018 წლებში დასრულდა სამი ეტაპი და ცოტა ხნის წინ 2019 წლის მაისში მეოთხე ეტაპი დაიწყო გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მიერ საქართველოში და ევროკავშირის მხარდაჭერით.¹⁰ ეს არის სრულიად აპოლიტიკური პროგრამა, გაზომვადი, ხელშესახები შედეგებით, ასევე სამოქალაქო სექტორისა და ადგილობრივი მშვიდობისმყოფელების მნიშვნელოვანი მონაწილეობით. პროგრამა მხარს უჭერდა ადგილობრივი მშვიდობის მშენებლების შედეგებზე ორიენტირებულ რამდენიმე ინიციატივას, რომლებიც ცდილობდნენ გავლენა მოეხდინათ ნდობის აღდგენაზე კონფლიქტით დაყოფილ თემებში და მათ შორის. მაგალითად, Studio Re- ს მიერ შექმნილმა პროექტმა შექმნა თემატური გადაცემების კრებული მათ შორის თოქ-შოუები და დოკუმენტური ფილმები, ომის შედეგად გაყოფილ თემებს შორის

⁹ იხ. გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) სამხრეთ კავკასიაში მშვიდობისა და განვითარების ერთიანი გვერდი: <https://www.ge.undp.org/content/georgia/en/home/projects/peace-and-development.html>

¹⁰ იხილეთ UNDP-ს COBERM პროექტის გვერდი: <https://www.ge.undp.org/content/georgia/en/home/projects/coberm.html>

ნდობის აღდგენის მიზნით. თუმცა, ხშირ შემთხვევაში COBERM- ის გრანტის მიმღებლებმა ბევრი რამ არ იციან ერთმანეთის საქმიანობის შესახებ და, შესაბამისად, მათ არ შეუძლიათ განავითარონ უკვე არსებული საქმე, შექმნან სინერგიები და თავიდან აიცილონ რესურსების დუბლირება.

რეგიონში მშვიდობის შენარჩუნების კიდევ ერთი საიმედო პერსპექტივაა საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში მდგრადი განვითარების ეროვნული კოორდინატორების დანიშვნა. ისინი მხარს უჭერენ პერიოდულ მრგვალ მაგიდის შეხვედრებს ადგილობრივ აქტივისტებთან და მდგრადი განვითარების საკითხების ექსპერტებთან რეგიონში მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელების შესაფასებლად. ამასთან, მდგრადი განვითარების დღის წესრიგის ინფორმაციისა და გააზრების ნაკლებობა და მისი შესაბამისობა ადგილობრივ დონეზე კვლავ პრობლემური საკითხია და მნიშვნელოვანი გამოწვევაა წინსვლისათვის. ეს ასევე უკავშირდება ფართო საზოგადოების გაცნობიერებულობის, ინფორმირებულობის, ადგილზე პასუხისმგებლობის, ზედამხედველობის, მოთხოვნისა და მასთან დაკავშირებული პოლიტიკის ნაკლებობას.

გაეროს რეგიონში გაწეული მუშაობის მიუხედავად, სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოების მოსახლეობა არ არის ბოლომდე ინფორმირებული და არ ესმის გაეროს როლი რეგიონში კონფლიქტების მოგვარებაში. ეს შემდგომში ითარგმნება გადაწყვეტილების მიღების და მშვიდობის დამყარების დისკურსში, რადგანაც დეზინფორმაცია და ინფორმაციის სიმცირე ნაყოფიერ ნიადაგს ქმნის სხვადასხვა ბრალდებებისთვის, რამაც შეიძლება შეამციროს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ლიდერობა.

რეგიონში მშვიდობის მშენებლობა უფრო მდგრადი იქნება, თუ გაეროს მოქმედი პირები, ფინანსური სახსრები და პროგრამები უკეთესად ჩაერთვებიან და ითანამშრომლობენ ადგილობრივ მოსახლეობასთან და უზრუნველყოფენ ადგილობრივ ქმედებებს კონფლიქტისა და არასტაბილურობის ძირითადი მიზეზების აღმოსაფხვრელად. გაეროს თავისი გავლენისა და ბერკეტის გამოყენებით შეუძლია უფრო მეტი წვლილი შეიტანოს რეგიონში მდგრადი მშვიდობის შენარჩუნებაში ადგილობრივი პასუხისმგებლობის საფუძველზე ნდობის აღდგენის გზით და რეგიონალური ნორმების, პოლიტიკისა და ინიციატივების განვითარების ინკლუზიური პროცესების მხარდაჭერით სხვადასხვა საყრდენების გამოყენებით, მათ შორის ისეთების როგორც არის მშვიდობა და უსაფრთხოება, განვითარება და ადამიანის უფლებები.

რეკომენდაციები:

- გაერომ უნდა გაზარდოს რეგიონში წევრი სახელმწიფოების შესაძლებლობები ნდობის აღდგენის, გენდერულად-მგრძობიარე მშვიდობის მშენებლობისა და კონფლიქტების პრევენციაში ჩართულობისათვის;
- UNDP-DPPA ერთობლივმა პროგრამამ მხარი უნდა დაუჭიროს მშვიდობისა და განვითარების მრჩეველებს კონფლიქტის ანალიზის მკაფიო და ადგილობრივ რეალობისადმი მგრძობიარე ჩარჩოების შემუშავებაში, რაც პრიორიტეტს ანიჭებს კონფლიქტისადმი მგრძობიარე მხარდაჭერას და მოიცავს ინფორმაციისა და ანალიზის სხვადასხვა ნაკადის ინტეგრირების მექანიზმებს;
- გაეროს რეგიონულმა ოფისმა სამხრეთ კავკასიაში მხარი უნდა დაუჭიროს ნდობის აღდგენას დაყოფილ თემებს შორის ყველა დონეზე ღია და გამჭვირვალე დიალოგის ფასილიტაციის მეშვეობით;

- გაეროს ყველა ფონდმა და პროგრამამ უნდა გააუმჯობესოს რეგიონში მისი მუშაობის შესახებ ინფორმირებულობა და გაცნობიერებულობა, მათ შორის ადგილობრივი მშვიდობისმყოფელების შესაძლებლობების გაზიარებით და მათი უნარების გაძლიერებით შესაბამის ინიციატივებში ჩართულობისათვის;
- გაეროს რეგიონალურმა ოფისმა უნდა მოაწიოს პერიოდული ინკლუზიური ფორუმები რეგიონში გაეროს შესაბამისი დღის წესრიგის შესრულების შესაფასებლად და ხელი შეუწყოს შესაბამისი რეგიონალური ნორმების შემუშავებას;
- გაეროს განვითარების პროგრამამ და რეგიონში არსებულმა სხვა მნიშვნელოვანმა დონორებმა ხელი უნდა შეუწყონ გრანტის მიმღებთა შორის ინფორმაციის გაზიარებას, პროექტების განმეორების თავიდან აცილებასა და ურთიერთშევესებას.

ადგილობრივი პასუხისმგებლობა რეგიონში: ნდობის ხიდების აგება

იმისათვის, რომ სამშვიდობო ძალისხმევა გაგრძელდეს, მათ ადგილობრივ თემებში ფესვები უნდა გაიდგან. კონფლიქტებს აქვთ ადგილობრივი და რეგიონალური განზომილებები, რომლებთანაც ეფექტური გამკლავება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც ადგილობრივი ექსპერტიზა და ანალიზი დაკავშირებულია რეგიონალურ და გლობალურ ნორმებთან, მექანიზმებთან და შესაძლებლობებთან.

მშვიდობის მშენებლობის ადგილობრივი ქსელები უნიკალურ როლს ასრულებენ და ხელს უწყობენ "ხალხზე ორიენტირებული - ქვემოდან ზემოთ" პერსპექტივის ჩამოყალიბებას, რომელიც ხშირად არ არის დაცული სახელმწიფოზე ორიენტირებული უსაფრთხოების ანალიზში. ეს პერსპექტივა მოიცავს მნიშვნელოვან გამოცდილებას, ძირეულ ცოდნას და ლოკალიზებულ კონტექსტებს, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ კონფლიქტის დინამიკის, ძალაუფლებათა ურთიერთობების, მოქმედი პირების და ადრეული გაფრთხილებისა და მათზე რეაგირების ანალიზში. მათი სტრუქტურების მოქნილობისა და მრავალფეროვან დაინტერესებულ მხარეებთან მჭიდრო ურთიერთობის გამო, ადგილობრივ მშვიდობისმყოფელებს ხშირად აქვთ შესაძლებლობა წვდომა ჰქონდეთ ისეთ ადგილებსა და აქტორებს, რომლებზეც წვდომას მთავრობის ოფიციალური პირები ან საერთაშორისო აქტორები ვერ შეძლებენ.

მედიაცია: ევროსაბჭოს მხარდაჭერით, სასამართლოში მედიატორები ოფიციალურად აღიარებული არიან რეგიონში, მაგრამ სამშვიდობო მედიაცია ჯერ არ არის ოფიციალურად აღიარებული ან ლეგიტიმირებული. არ არსებობს შესაძლებლობები და ვალდებულებები ეროვნულ კონტექსტზე მორგებული სამშვიდობო პროცესებისა და ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის, მაგალითად კოლუმბიაში, განასა და სამხრეთ აფრიკაში. იმის ნაცვლად, რომ სამშვიდობო პროცესი დაიწყოს არსებული სამთავრობო და საზოგადოებრივი პროცესებით, რეგიონში მხოლოდ საერთაშორისო სამშვიდობო მედიაცია გამოიყენება. შედეგად, სამშვიდობო პროცესი არ განიხილება როგორც განუყოფელი, საზოგადოებრივი პროცესი, რომელშიც ყველა დაინტერესებულ მხარეს შეუძლია წვლილი შეიტანოს და თანაბრად ფლობდეს მას. სამშვიდობო მედიაციის ოფიციალური აღიარებისა და ლეგიტიმაციის არარსებობა ასევე ამცირებს ეროვნულ და რეგიონალურ რესურსებს კონფლიქტის პრევენციისა და მშვიდობის შენარჩუნების, აგრეთვე ადგილობრივი მშვიდობის მშენებლების მედიაციის ინიციატივების აღიარებას.

ამავე დროს, მთელ მსოფლიოში, საერთაშორისო საზოგადოებამ დაინახა ქალების მიერ წარმოებული სამშვიდობო მედიაციის ის უდიდესი გავლენა, რომელსაც ქალ მედიატორთა ქსელები უძღვებოდნენ. ამან სტიმული მისცა მშვიდობის მშენებელ ქალებს სამხრეთ კავკასიის მასშტაბით, გაერთიანებულიყვენ და დაეფუძნებინათ სამხრეთ კავკასიის ქალ-მედიატორთა ქსელი.¹¹ ქსელი მოიცავს და აძლიერებს ქალებს, როგორც ეროვნულ მედიატორებს სამშვიდობო პროცესებში კონფლიქტამდე, კონფლიქტის დროს და მის შემდეგ, რათა ხელი შეუწყონ რეგიონში მდგრადი მშვიდობის შენარჩუნებას. ასეთი ქსელის შექმნამ და განვითარებამ, როგორც ძირითადი სასწავლო და სამოქმედო

¹¹ იხილეთ (12 ოქტომბერი, 2018) კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო ცენტრის ინიციატივა http://iccn.ge/index.php?article_id=232&clang=1

რესურსისა სამხრეთ კავკასიაში, უკვე ხელი შეუწყო აფხაზ, ოს, ყარაბახელ, სომეხ და აზერბაიჯანელ ქალთა ჩართულობას და მათ შორის დიალოგს. თუმცა, დონორებისა და სხვა მრავალმხრივი პარტნიორების გრძელვადიანი ფინანსური და ოპერატიული დახმარების გარეშე, ქსელს არ აქვს შესაძლებლობა გახდეს სრულად ოპერაციული და ლეგიტიმური, რომ გავლენა მოახდინოს არსებულ სამშვიდობო პროცესებზე.

მშვიდობის ჟურნალისტიკა: სამშვიდობო ჟურნალისტიკა სამხრეთ კავკასიაში ხელს უწყობს ნდობის განმტკიცებას და წარმოადგენს საქმიანობის სფეროს, სადაც ადგილობრივ მშვიდობის მშენებლებს შეუძლიათ წარმატების მიღწევა. 2018 წელს ICCN- მა და მისმა პარტნიორებმა სომხეთსა და აზერბაიჯანში წარმატებით განახორციელეს საპილოტე პროექტი GPPAC- ის დამოუკიდებელი პრეს – ოფიცრების ქსელის შექმნისთვის მთელ რეგიონში, რომლებიც ხელს უწყობენ კონფლიქტების პრევენციას და მშვიდობის კულტურის ადვოკატირებას. პრეს-ოფიცრებმა მოამზადეს და გაავრცელეს მრავალი საგანმანათლებლო-საინფორმაციო მასალა მშვიდობის, ნდობის აღდგენისა და კონფლიქტების პრევენციის შესახებ. აუდიტორიასთან მათი ურთიერთობის საშუალებით, პრეს-ოფიცრებმა მათ შთააგონეს საკითხების ალტერნატიული გაგების მნიშვნელობა, დაუპირისპირდნენ სიძულვილის ენას და ცრუ ინფორმაციას, დაეხმარნენ სხვადასხვა აქტორებს შორის მტრობასა და უნდობლობის გადალახვაში და შექმნეს ურთიერთ-მხარდაჭერისა და ნდობის გარემო. შემდგომში რეგიონში ჩატარდა სემინარები მედიის, მშვიდობისა და უსაფრთხოების საკითხებზე, რათა გაეზარდათ მედიის როლის გაცნობიერება ნდობის აღდგენაში და წახალისებინათ მედიის ფართო ჩართულობა სამშვიდობო გზავნილების გავრცელებაში.

ადგილობრივი კუთვნილების არაფორმალური სამშვიდობო პროცესი: მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის ორივე მხარის ადგილობრივი მშვიდობისმყოფელები დიდი ხანია მხარს უჭერენ სახალხო დიპლომატიის (Track-2) დამოუკიდებელი სამოქალაქო საზოგადოების პროცესის დამკვიდრებას, რათა მხარი დაუჭირონ მოლაპარაკებების უფრო ღია და გამჭვირვალე მეთოდს ორივე საზოგადოებისთვის. 2014 წელს დაარსებული დამოუკიდებელი სამოქალაქო მინსკის პროცესი აწარმოებს პარალელურ ოფიციალურ მოლაპარაკებებს და უშუალოდ კონსულტაციას უწევს მინსკის ჯგუფის თანათავმჯდომარეებს.¹² სამწუხაროდ, პოლიტიკური მხარდაჭერის არარსებობის გამო, ჯგუფმა დაკარგა გავლენა.

ადგილობრივი პასუხისმგებლობისა და კუთვნილების პრინციპი, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ის მხარს უჭერს ინიციატივებს, როგორცაა ზემოთ განხილული, სამხრეთ კავკასიაში მშვიდობის შენარჩუნების ეფექტური ძალისხმევის გასაღებია. ადგილობრივ მშვიდობის აქტივისტებს შეუძლიათ მნიშვნელოვანი როლი შეასრულონ ოფიციალური მოლაპარაკებების პროცესებში შესაბამისი პერსპექტივებით, ღირებული ექსპერტიზით, საზოგადოების დონეზე ინფორმირებით და გამომხმარებებით. უფრო მეტიც, იმ შემთხვევებში, როდესაც ოფიციალური პროცესები პოლიტიკურად მგრძობიარეა ან ჩიხში აღმოჩნდებიან, ადგილობრივი მშვიდობის მშენებლების მიერ ორგანიზებულმა სათემო დიალოგის გაგრძელებამ შეიძლება მნიშვნელოვანი ალტერნატივები მოგვცეს. ადგილობრივი მშვიდობისმყოფელთა როლი ასევე ძალზე მნიშვნელოვანია, სამშვიდობო შეთანხმების ოფიციალურ დონეზე მიღწევის შემდეგ, რადგან ისინი შეიძლება იყვნენ მამოძრავებელი ძალა კონფლიქტური საზოგადოებების მოსამზადებლად შერიგებისა და სამომავლო მშვიდობიანი თანაცხოვრებისათვის.

¹² იხ (3 ნოემბერი 2014) Commonsplace.eu'-ს ახალი ამბები : http://commonsplace.eu/index.php?m=23&news_id=3110

რეკომენდაციები:

- გაეროს ფონდებმა და პროგრამებმა უნდა უზრუნველყონ ოპერაციული და ფინანსური მხარდაჭერა ადგილობრივი პასუხისმგებლობის და კუთვნილობის გასაძლიერებლად, მოქნილი გრანტების ჩათვლით, რომლებიც შეიძლება მოერგოს ადგილობრივი ძირეული მიზეზების ანალიზს, პოლიტიკისა და პროგრამების უკეთ გაგებას და შემუშავებას ადგილობრივი თემების პრიორიტეტებზე დაყრდნობით, ინკლუზიურ სივრცეში დიალოგის, ერთობლივი ანალიზისა და კოორდინაციისთვის;
- ქვეყანაში გაეროს გუნდმა უპირატესობა უნდა მიანიჭოს წვერი ქვეყნების შესაძლებლობების გაზრდას და რესურსების გამოყოფას რათა განავითარონ სამშვიდობო პროცესები ეროვნული და რეგიონული მიმართულებით, სამშვიდობო არქიტექტურის განვითარებას და სამართლიანი და ანგარიშვალდებული ინსტიტუტების შექმნას;
- გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გუნდმა უნდა მოაწყოს სამხრეთი კონსულტაციები მთავრობებს, ადგილობრივ მშვიდობისმყოფელებსა და დონორებს შორის ეროვნულ დონეზე, რათა უკეთესად მოახდინონ პროექტებისა და აქტორების განსაზღვრა, რომლებიც იმსახურებენ მხარდაჭერას და უზრუნველყონ პროგნოზირებადი დაფინანსება;
- გაეროს გენერალურმა მდივანმა ხელი უნდა შეუწყოს და წახალისოს გაეროს სისტემის ყველა ნაწილი, მათ შორის მშვიდობის მშენებლობის ფონდი, რომ მათ მხარი დაუჭიროს ადგილობრივ მექანიზმებსა და სტრატეგიებს მშვიდობის, თანასწორობისა და ძალადობის საწინააღმდეგო გზავნილების ხელშესაწყობად.

რეგიონული ეკონომიკური სისტემების როლი: სინერგია მშვიდობის მშენებლობასა და ეკონომიკას შორის

ეკონომიკური განვითარება მშვიდობის შენარჩუნების ერთ – ერთი წინაპირობაა, რადგან ეკონომიკური სისტემები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ კონფლიქტის ან საზოგადოების საზოგადოების სტაბილიზაციისა და აღსადგენად. გაეროს უშიშროების საბჭოს 2282 რეზოლუციაში აღიარებულია, რომ მშვიდობის შენარჩუნება მოიცავს "აღდგენის, რეკონსტრუქციისა და განვითარებისკენ სვლას" (PB. 31) და რომ "ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა კონფლიქტით დაზარალებულ ქვეყნებში" (PB. 64) უნდა წარმოადგენდეს ინტეგრირებულ და თანმიმდევრულ მიდგომას მდგრადი მშვიდობის შენარჩუნებისათვის. რეგიონულ დონეზე ეკონომიკურ პარტნიორობასა და სისტემებს შეუძლიათ შექმნან ეკონომიკური ზრდის, უცხოური ინვესტიციების და სამუშაო ადგილების შექმნის ხელშეწყობი გარემო.

სამხრეთ კავკასიის რეგიონში არის ორი კონკურენტული რეგიონალური ეკონომიკური სისტემა: რუსეთის ევრაზიის ეკონომიკური კავშირი (EaEU) სომხეთში და ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულება ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ ხელშეკრულება (DCFTA) საქართველოში.¹³ ქართულ და სომხურ ბიზნესსა და ეკონომიკურ სუბიექტებს შეუძლიათ მნიშვნელოვნად ისარგებლონ როგორც DCFTA, ასევე EaEU შესაძლებლობებით. კერძოდ, გარკვეულწილად DCFTA შეიძლება მიმზიდველი იყოს საქართველოს სეპარატისტული რეგიონების ბიზნესისთვის, რადგან ეს ხელს უწყობს მათ დეიზოლაციას.

მაგრამ ორივე სისტემას აქვს ურთიერთსაპირისპირო ინტერესები, რაც შესაბამისად, ეჭვქვეშ აყენებს რეგიონში მდგრადი ეკონომიკური განვითარების პერსპექტივებს. მაგალითად, პოლიტიკურმა დინამიკამ შეიძლება საფრთხე შეუქმნას რეგიონის წევრი სახელმწიფოების ეკონომიკურ შესაძლებლობებს. ბოლო პერიოდში აზერბაიჯანი აღიარებულია, როგორც ნავთობისა და გაზის მნიშვნელოვანი ექსპორტიორი ევროპაში, გაზრდილი სატრანზიტო პროფილით. ამავდროულად, ამგვარმა განვითარებამ შექმნა იმის შესაძლებლობა, რომ საქართველომ უფრო მეტი როლი აიღოს, როგორც სატრანზიტო ქვეყანამ. ორ დაპირისპირებულ ინტერესს ორ ეკონომიკურ სისტემას შორის შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდეს რეგიონის ეკონომიკურ განვითარებაზე, მაგალითად, ნავთობისა და გაზის ტრანზიტზე რეგიონში.

მეორეს მხრივ, საქართველოსა და სომხეთს შორის შექმნილი ეკონომიკური მთავრობათაშორისი კომისია (EIC) შეიძლება წარმოადგენდეს მთავრობათა ძალისხმევის კარგ მაგალითს ორ ქვეყანას შორის პერიოდულად წარმოქმნილი ეკონომიკური პრობლემების გადასაჭრელად. ეს განსაკუთრებით ეფექტური იყო კავკასიაში სხვადასხვა ეკონომიკური სისტემის ურთიერთშეჯახებისა და მშვიდობიანი თანაარსებობის უზრუნველსაყოფად, კერძოდ, საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების და ღრმა და

¹³ იხილეთ ევრაზიული ეკონომიკური კავშირის და DCFTA-ს შესაბამისი ვებგვერდები: <http://www.eaunion.org/?lang=en>; <https://ec.europa.eu/chafea/agri/en/content/deep-and-comprehensive-free-trade-areas-dcfta-eu-ukraine-association-agreement>

ყოველმხრივ თავისუფალ სავაჭრო სივრცეზე შეთანხმება და ევრაზიული ეკონომიკური კავშირი სომხეთში.

რეკომენდაციები:

რეგიონში არსებული გახანგრძლივებული კონფლიქტები მოითხოვს გაეროს მშვიდობის აღმშენებლობის ფონდისა და სხვა საერთაშორისო დონორების მეტ ყურადღებასა და ლიდერობას იმ პროექტების მხარდაჭერაში, რომელთა მიზანია კონკურენტ სისტემებს შორის ეკონომიკური კავშირისა და ურთიერთშეხვედრის განვითარება და გაუმჯობესება. ეს სასწრაფოდ საჭიროა იქ, სადაც შესაძლებელია ეკონომიკური კონკურენციის ტრანსფორმაცია ურთიერთხელსაყრელ თანამშრომლობად.

დისკუსია არსებულ გამოწვევებზე

მშვიდობის მშენებლობის რამდენიმე ძირითადი ინსტრუმენტია დიალოგი და მნიშვნელოვანი პარტნიორობა. საჭიროა უზრუნველყოფილი იყოს უსაფრთხო და ნეიტრალური სივრცეები, რომ მხარეებმა შეძლონ შინაარსიანად ჩაერთონ ერთმანეთთან დიალოგში და გავლენა მოახდინონ კონკრეტულ კონფლიქტთან დაკავშირებულ პოლიტიკურად მგრძობიარე საკითხებზე. რეგიონალური სივრცეები და პლატფორმები - რაც საშუალებას იძლევა დიალოგის, ერთობლივი ანალიზისა და რეგიონალური ნორმების, ჩარჩოებისა და მოქმედებების წინსვლა საერთაშორისო, რეგიონულ და ადგილობრივ სამშვიდობო აქტორებთან - წარმოადგენენ იმ ხიდეებს, რომლებიც აკავშირებს კონფლიქტით დაყოფილ აქტორებს, რათა შეიქმნას თითოეული მხარის პრობლემების, ინტერესების და საჭიროებების საერთო გაგება. თუმცა, ასეთი ინკლუზიური დიალოგები არ მიმდინარეობს სამხრეთ კავკასიაში და ადგილობრივი სამშვიდობო მშენებლები, სადაც ესწრებიან, არ განიხილებიან პროცესის პარტნიორობად და ისინი გადაჰყავთ სახალხო დიპლომატიის ხაზზე (Track-2), სადაც ეროვნული არასახელმწიფო აქტორების საქმიანობას " გაგებით ეკიდებიან", მაგრამ ისინი არასოდეს არ არის ლეგიტიმიზებული.

რეგიონში სამშვიდობო სამუშაოები პოლიტიზირებულია და ხშირად განიხილება, როგორც ანტისახელმწიფოებრივი აქტივობა. მთავარი პრობლემები, რომლებსაც ადგილობრივი მშვიდობისმყოფელები სამხრეთ კავკასიაში დიალოგისთვის ინკლუზიური სივრცეების შექმნისას აწყდებიან, მოიცავს პოლიტიკური სივრცის შემცირებას, პოლიტიკურ პოლარიზაციას და უთანხმოებებს უფლებადამცველებსა და მშვიდობის აქტივისტებს შორის.

ეს ყოველივე უკავშირდება ადამიანთა უფლებების ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად საკმარისი მექანიზმების არარსებობას. ეს განსაკუთრებით აქტუალურია, როდესაც საქმე ეხება ქალთა მნიშვნელოვან მონაწილეობას მშვიდობის მშენებლობაში და მედიაში. ბოლო 25 წლის განმავლობაში გამოწვევად რჩება სამშვიდობო ქალთა ხილვადობაც კი სახალხო დიპლომატიის (Track-2) პროცესებში, რაც ძირითადად განპირობებულია გენდერული მგრძობიარეობის დაბალი დონით მთავრობის წარმომადგენლებში, აგრეთვე ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების ეროვნული სამოქმედო გეგმის მნიშვნელობის გააზრების ნაკლებობით. ანალოგიურად, ახალგაზრდობას აკლია მშვიდობის მშენებლობაში ჩართულობის მოტივაცია, სეპარატისტული რეგიონების მშვიდობიანი გზით რეინტეგრაციის შეუძლებლობის მზარდი აღქმის და ურთიერთ უნდობლობის მზარდი კლიმატის გამო.

ამას გარდა, დონორებმა, რომლებიც ტრადიციულად მუშაობენ სამხრეთ კავკასიაში დემოკრატიული განვითარების და ადგილობრივი მშვიდობის მშენებლობის ხელშესაწყობად, შეამცირეს მათი ფინანსური მხარდაჭერა. მშვიდობის მშენებლობის გავლენა მცირდება ფინანსური სახსრების არაეფექტური განაწილების გამო. გამოწვევად რჩება სამშვიდობო საქმიანობისათვის დაფინანსების მოპოვება რაც ზღუდავს ადგილობრივი მშვიდობის მშენებლების ზეგავლენას ადგილობრივი პოლიტიკის პრიორიტეტების განსაზღვრისას.

ეს იმას ნიშნავდა, რომ ბევრმა მშვიდობისმყოფელმა შეძლო ინიციატივების განხორციელება მხოლოდ საკუთარი ხარჯებით, რაც ზღუდავს მათი საქმიანობის სფეროს

და ზრდის შესაძლებლობებს. დონორები ნაკლებად არიან განწყობილი იმ პროექტების დასაფინანსებლად, რომლებსაც გრძელვადიანი მიზნები აქვთ და მყისიერ, მოკლევადიან გავლენას ეძებენ. ასეთ გარემოში, ადგილობრივი მშვიდობისმყოფელებისთვის კიდევ უფრო რთულია კონკურენციის გაწევა საერთაშორისო ორგანიზაციებთან, რომლებიც რეგიონში დახმარებას უწევენ. ამ საერთაშორისო ორგანიზაციების პრიორიტეტები ხშირად არ შეესაბამება ადგილობრივი მშვიდობისმყოფელების სტრატეგიებს კონფლიქტის პრევენციისა და კონფლიქტის მოგვარების საკითხებთან დაკავშირებით.

იმისათვის, რომ სამშვიდობო პროცესი გახდეს მდგრადი და განუყოფელი, აუცილებელია ის იყოს ინკლუზიური. მიუხედავად იმისა, რომ სამხრეთ კავკასიაში მშვიდობის მშენებლობა დიდი გამოწვევების წინაშე დგას, ინკლუზიურმა დიალოგმა და მნიშვნელოვანმა პარტნიორობამ შეიძლება ხელი შეუწყოს სხვადასხვა ექსპერტიზების გადანაწილებას ეროვნული მთავრობების ვალდებულებით და გაეროს, რეგიონალური ორგანიზაციების და შესაბამისი დონორების დამატებითი ტექნიკური, პოლიტიკური და ფინანსური მხარდაჭერით.

რეკომენდაციები:

- გაერომ უნდა გააძლიეროს ინკლუზიური სივრცეების შექმნა დიალოგისთვის, მათ შორის ადგილობრივ სამშვიდობო მშენებლებთან და ხელი შეუწყოს უფრო მჭიდრო კავშირს არაფორმალურ (Track 2) და ოფიციალურ (Track 1) მოლაპარაკებების პროცესებს შორის;
- გაეროს გუნდებმა და რეგიონულმა ოფისებმა უნდა განაგრძონ შესაძლებლობების განვითარება და წვერი სახელმწიფოების მხარდაჭერა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნით, მშვიდობის მშენებლობის დაფინანსების მისაღებად სამოქალაქო საზოგადოების რეგისტრაციის ყველა სამართლებრივი და მარეგულირებელი ბარიერის მოხსნა.
- გაეროს ფონდებმა და პროგრამებმა უნდა გაითვალისწინონ მათ მიერ რეგიონში ადგილობრივი მშვიდობის მშენებლობის ფინანსური მხარდაჭერის მოქნილობის გაზრდა და საჭიროების შემთხვევაში განახორციელონ მშვიდობისა და უფლებადამცველ ინდივიდების ფინანსური მხარდაჭერა დამსახურებაზე-დაფუძნებული პრემიებისა და ჯილდოების სახით;
- გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ არ უნდა უზრუნველყოს პოლიტიკური მხარდაჭერა ისეთ სამშვიდობო პროცესებისა, რომლებიც მიმდინარეობს ქალებსა და ახალგაზრდულ ჯგუფებთან საგნობრივი კონსულტაციების გარეშე
- გაეროს რეგიონალურმა ოფისებმა მხარი უნდა დაუჭირონ რეგიონული კოალიციების შექმნას ახალგაზრდობის, მშვიდობისა და უსაფრთხოების საკითხებში (YPS) და მოახდინონ YPS-ს გეგმების ინტეგრირება შესაბამის სტრატეგიასა და პროგრამირებაში.

დასკვნები და რეკომენდაციები

სამხრეთ კავკასიაში საერთაშორისო და რეგიონული აქტორების სამშვიდობო მიღწევები, ასევე GPPAC- სამხრეთ კავკასიის წევრების მიერ გამოვლენილი გამოწვევები ცხადყოფს საჭიროებას რომ გადაიხედოს , თუ როგორ უჭერენ მხარს გაერო და სხვა შესაბამისი აქტორები მშვიდობასა და ადგილზე პასუხისმგებლობას გაყინული და გაჭიანურებული კონტექსტში.

მდგრადი მშვიდობის შენარჩუნება მოითხოვს გაძლიერებულ ღონისძიებებს ადგილობრივ მშვიდობის მშენებლებთან სტრატეგიული და ოპერაციული რეგიონული პარტნიორობის შესაქმნელად, მათ შორის მშვიდობის მშენებელ ქალთა და ახალგაზრდულ ჯგუფებთან, გაეროსთან, ეროვნულ აქტორებთან, რეგიონულ და სუბ-რეგიონალურ ორგანიზაციებთან.

სამხრეთ კავკასიაში მდგრადი მშვიდობის პრაქტიკული განხორციელების მიზნით გაეროს სამშვიდობო ორგანიზაციებისგან საჭირო გადაწყვეტი მოქმედებები მოიცავს:

რეგიონული ლიდერობა:

- გაჭიანურებული და გაყინული კონფლიქტების ფონზე გაერომ და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებმა უნდა გააძლიერონ თავიანთი ძალისხმევა მედიაციის კუთხით.
- შესაბამისი სამშვიდობო პროცესების თავმჯდომარეებმა უნდა უზრუნველყონ ინკლუზიური სივრცეების შექმნა დიალოგისთვის, მათ შორის ადგილობრივ სამშვიდობო მშენებლებთან და უფრო მჭიდრო კავშირი არაფორმალურ (Track 2) და ფორმალურ (Track 1) მოლაპარაკებების პროცესებს შორის;
- გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რეგიონალურმა და ქვეყნის ოფისებმა, შესაბამისი პროგრამების მხარდაჭერით, უნდა მოაწყონ ინკლუზიური პერიოდული ფორუმები რეგიონში გაეროს შესაბამისი დღის წესრიგის შესრულების შესაფასებლად და ხელი შეუწყონ შესაბამისი რეგიონული ნორმების შემუშავებას
- გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ არ უნდა უზრუნველყოს პოლიტიკური მხარდაჭერა ისეთ სამშვიდობო პროცესებისადმი, რომლებშიც არ არსებობს ჯეროვანი კონსულტაცია ქალებთან ;
- გაეროს გუნდმა პრიორიტეტი უნდა მიანიჭოს წევრი ქვეყნების შესაძლებლობების შექმნას, რომ გამოყონ რესურსები და განავითარონ სამშვიდობო პროცესები ეროვნული და რეგიონული მიმართულებით, მოახდინონ მშვიდობის არქიტექტურის განვითარება და შექმნან სამართლიანი და ანგარიშვალდებული ინსტიტუტები.

პრაქტიკული/ოპერაციული მხარდაჭერა:

- გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ უნდა გაზარდოს რეგიონის წევრი სახელმწიფოების შესაძლებლობები იმისთვის, რომ გაიგონ და ჩართონ ნდობის აღდგენის, გენდერულად რეაგირებადი მშვიდობის მშენებლობისა და კონფლიქტების პრევენციის პროცესში;

- გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ უნდა განახორციელოს ინვესტიცია კონფლიქტის ადეკვატურ ანალიზში, რომელიც დაეფუძნება ინფორმაციას ადგილობრივი გამოცდილებისა და ადგილზე შეგროვებული მონაცემების გამოყენებით, შესაბამისი სამშვიდობო აქტორების შერჩევას. მშვიდობის ხელშეწყობისათვის პრიორიტეტული უნდა გახდეს რეგიონში მათი შესაძლებლობების გაზრდა, რომლებიც ყველაზე უკეთ არიან პოზიციონირებული უპასუხონ კონფლიქტის ძირეულ მიზეზებსა და არასტაბილურობის ადრეულ გამოვლინებებს;
- გაერომ უნდა გააუმჯობესოს რეგიონში გაეროს მუშაობის შესახებ ინფორმირებულობა და ცნობიერება, მისი ძირითადი დღის წესრიგი, გააუმჯობესოს ადგილობრივი მშვიდობისმყოფელების შესაძლებლობები და გაამლიეროს მათი შესაძლებლობები შესაბამის ინიციატივებში ჩართულობისათვის;
- UNDP-DPPA ერთობლივმა პროგრამამ ხელი უნდა შეუწყოს მშვიდობისა და განვითარების მრჩეველებს კონფლიქტის ანალიზის ადგილობრივი მკაფიო ჩარჩოების შემუშავებაში, რაც პრიორიტეტს ანიჭებს კონფლიქტისადმი მგრძნობელობას და მოიცავს ინფორმაციისა და ანალიზის სხვადასხვა ნაკადის ინტეგრირების მექანიზმებს;
- გაეროს გენერალურმა მდივანმა ხელი უნდა შეუწყოს გაეროს სისტემის ყველა ნაწილს, მათ შორის მშვიდობის მშენებლობის ფონდს, მხარი დაუჭიროს ადგილობრივ მექანიზმებსა და სტრატეგიებს მშვიდობის, თანასწორობისა და არაძალადობრივი გზავნილების ხელშესაწყობად.

პარტნიორობა და მშვიდობის მშენებლობა:

- გაეროს რეგიონალურმა და ქვეყნის ოფისებმა უნდა აწარმოონ იმ საქმიანობებისა და მოქმედი პირების გამოვლენა, რომლებსაც აქვთ პოტენციური მშვიდობის განმტკიცებისთვის, კონფლიქტების თავიდან ასაცილებლად და შეიარაღებული დაპირისპირების გამეორების პრევენციის.
- გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ მხარი უნდა დაუჭიროს შესაბამის აქტორებს ინკლუზიური და ღია დიალოგების ახალი და მოქნილი პლატფორმების შექმნაში, სადაც მშვიდობის მხარდამჭერ მხარეებს შეეძლებათ ერთად იმუშაონ ინკლუზიური გადაწყვეტილებების შემუშავებაში;
- გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ ხელი უნდა შეუწყოს წევრ სახელმწიფოთა თანამშრომლობის სისტემატიზაციას და ინსტიტუციონალიზაციას მშვიდობის მშენებლებთან, როგორცაა მაგალითად სამხრეთ კავკასიის ქალ მედიატორთა ქსელი (NWMSC)
- გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რეგიონალურმა სამსახურებმა მხარი უნდა დაუჭიროს რეგიონული კოალიციების შექმნას ახალგაზრდობის, მშვიდობისა და უსაფრთხოების საკითხებში (YPS) და YPS დღის წესრიგის ინტეგრირება შესაბამის სტრატეგიასა და პროგრამირებაში;
- გაეროს მშვიდობის მშენებლობის ფონდმა და სხვა საერთაშორისო დონორებმა მხარი უნდა დაუჭიროს პროექტებს, რომლებიც მიზნად ისახავს კონკურენტ

ეკონომიკურ სისტემებს შორის ეკონომიკური კავშირისა და ურთიერთშეხვედრის განვითარებას და გაუმჯობესებას.

მშვიდობის მშენებლობის დაფინანსება:

- გაერთიანებული ერების ორგანიზაციულმა გუნდმა უნდა მოაწიოს სამხრეთი კონსულტაცია მთავრობებს, ადგილობრივ სამშვიდობო სტრუქტურებსა და დონორებს შორის ეროვნულ დონეზე, რათა მოხდეს იმ პროექტებისა და აქტორების გამოვლენა, რომლებიც იმსახურებენ მხარდაჭერას და უზრუნველყოფილი იყოს პროგნოზირებადი დაფინანსება;
- გაეროს ფონდებმა და პროგრამებმა უნდა გაითვალისწინონ რეგიონში ადგილობრივი მშვიდობის მშენებლობის ფინანსური მხარდაჭერის მოქნილობის გაზრდა და საჭიროების შემთხვევაში ფინანსური დახმარება გაუწიონ მშვიდობისა და უფლებადამცველ ინდივიდებს დამსახურებული პრემიებისა და ჯილდოების სახით;
- გაეროს განვითარების პროგრამამ და რეგიონში არსებულმა სხვა მნიშვნელოვანმა დონორებმა ხელი უნდა შეუწყონ გრანტის მიმღებთა შორის ინფორმაციის გაზიარებას, პროექტების განმეორების თავიდან აცილებას და გრანტორების მიერ ურთიერთშეხვედრას.

